

თამარ შავგულიძე\*

# კონსტიტუციის შესახებ განმარტების მნიშვნელობა საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო ნორმატიკონტროლისას

„კანონი შეიძლება უფრო ჭკვიანი იყოს, ვიდრე მისი გამოცემა“<sup>41</sup>

## პოსტსკიპტი

კონსტიტუციაზე შინაარსობრივი წვდომა და, შემდგომში, საერთო წესრიგში რეალიზება, ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის უმთავრესი ამოცანაა. აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად, ნორმის განმარტების მეთოდებია, რომელთაც საერთო სულისკვეთება – კონსტიტუციაზე ორიენტირება არ უნდა დაკარგონ. ამ პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება, რომელიც მნიშვნელოვან საფუძველს ქმის ორდინალურ წესრიგში კონსტიტუციური პრინციპების ფაქტობრივი ასახვისთვის. იგი კანონის ნორმას კონსტიტუციური საზომით აფასებს, ხოლო განმარტების მეთოდებს შორის კოლიზიას – კონსტიტუციის საფუძველზე წყვეტს.

წინამდებარე ნაშრომში, გერმანული და ქართული სამართლებრივი სისტემების ურთიერთშედარების საფუძველზე, მიმოხილულია კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების გარშემო არსებული აქტუალური საკითხები. განსახილველი თემის მნიშვნელობა გამოიხატება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით. პირველ რიგში, იგი მნიშვნელოვანია სისტემატიზაციის თვალსაზრისით, რათა უფრო კონკრეტულად იქნას აღქმადი სამართლის ნორმა და მისი განმარტების ხერხები. ამასთან, საინტერესოა, როგორც საერთო

\* პასაუს უნივერსიტეტის LL.M საფეხურის სტუდენტი  
1 G.Radbruch, Rechtsphilosophie, 8. Aufl. 1973, S. 207.

სასამართლოსთვის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების დასაშვებობა, ისე მისი შესაძლო გადაკვეთის პუნქტები კონსტიტუციურ მართლმსაჯულებასთან.

## I. შესავალი

ნორმატიული აქტების იერარქია იმთავითვე მიუთითებს, რომ ნორმის გამოყენების მასშტაბს კონსტიტუცია ქმნის, თუმცა მხოლოდ ვიწროდ იერარქიულ ქრილში საუბარი და, ზოგადად, კონსტიტუციის პრიმატზე მითითება, ხშირად არასაკმარისია და მეტ კონკრეტიკას საჭიროებს, განსაკუთრებით, რთული სამართლებრივი პრობლემების გადასაწყვეტად. ნებისმიერ შემთხვევაში, ნორმის განმარტების სტანდარტული მეთოდები ვერ აღმოჩნდება გამოსადეგი, რადგან, შესაძლოა, დაიკარგოს ლოგიკური ბმა კონსტიტუციასა და კანონს შორის. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება განმარტების ისეთი მეთოდის შემოტანა, რომლის ამოსავალი წერტილიც კონსტიტუციის შინაარსობრივ გაგებაზე გადის და უფრო კონკრეტულად, ნორმის კონსტიტუციის შესაბამისად განმარტებაზე მიუთითებს.

კვლევის მეთოდი ძირითადად ეფუძნება გერმანული სამართლებრივი დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზსა და შემდგომში ქართულ რეალობასთან მის შესაბამისობას, უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს რიგი საქმეების მაგალითზე. ვინაიდან, დღესდღეობით, აღნიშნულ თემაზე ქართულ სამართლებრივ სივრცეში არაა ფართოდ განვითარებული მსჯელობა, საინტერესო უნდა იყოს მისი თავსებადობისა და პრობლემური ასპექტების განხილვა, რათა მეტი სიცხადე არსებობდეს ნორმის განმარტების ამ მეთოდთან მიმართებით.

## II. კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების კრსი

როგორც წესი, საერთო სასამართლოს მოსამართლემ უნდა გამოიყენოს ორდინალური კანონის ნორმები, რომელთაც კონსტიტუციისგან აქვთ რელატიური დამოუკიდებლობა და იწვევენ მოსამართლის უშუალო ბოჭვას.<sup>2</sup> მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კონსტიტუციაზე უშუალო წვდომა ორ ეტაპად ხორციელდება: თავდაპირველად, სასამართლო, როგორც სამართლის ნორმების გამომყენებელი ორგანო, სამართლებრივი სახელმწიფოს პრიციპის

2 R. Wahl, Der Vorrang der Verfassung und die Selbständigkeit des Gesetzesrechts, NVwZ 1984, S. 401 (406 ff.).

შესაბამისად, ვალდებულია, განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების, ადმინისტრაციული დისკრეციის ფარგლებსა და სამოქალაქო-სამართლებრივი გენერალური დათქმების ინტერპრეტაციის ფარგლებში, მხედველობაში მიიღოს კონსტიტუციის ძირითადი მიდგომები.<sup>3</sup> მოცემული საკითხი კარგად გამოიკვეთა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ, ე.წ. Lüth-ის გადაწყვეტილებაში<sup>4</sup>, რომელიც ეფუძნებოდა ძირითადი უფლებების გაგებას, როგორც ობიექტური ღირებულების წესრიგად და ამ ფუნდამენტიდან განვითარებულ დოგმატურ ფიგურებს, რომელიც მოიცავდა კერძო პირებს შორის ძირითადი უფლებებით უშუალო ბოჭვასა და ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულებას, რომელმაც, თავის მხრივ, გამოიწვია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზემოქმედება და ორდინალური სამართლის წესრიგის კონსტიტუციონალიზება.

„კონსტიტუციაზე ორიენტირებული განმარტება“ აყალიბებს კონსტიტუციის შესაბამის განმარტებას<sup>5</sup>. „ძირითად უფლებებსა“ ან „კონსტიტუციაზე ორიენტირებული“ განმარტება ზოგადად, მოიცავს ვალდებულებას, რომ ორდინალური, ქვემდგომი ნორმები, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სასამართლის კოდექსი თუ კანონქვემდებარე აქტები, ძირითადი კანონის ელემენტარული მიდგომების შუქზე იქნას ინტერპრეტირებული<sup>6</sup>. ვინაიდან, განსაკუთრებით ძირითადი უფლებები, აყალიბებენ ობიექტური ღირებულებითი წესრიგის საფუძველს. შესაბამისად, ქვემდგომი ნორმების ინტერპრეტაციისას მისი გათვალისწინება აუცილებელია, რაც იწვევს ე.წ. „რადიაციის ეფექტს“.<sup>7</sup>

ამ საკითხთან მიმართებით, საინტერესო პოზიცია ჩამოაყალიბა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით (იმუამად მე-7 მუხლი) აღნიშნა, რომ: „ეს არის ერთ-ერთი ფუძემდებლური ნორმა-პრინციპი, რომელიც იძლევა ადამიანის უფლებების მასშტაბისა და მნიშვნელობის შეგრძნების შესაძლებლობას, განაპირობებს მთლიანად კონსტიტუციისა და, განსაკუთრებით, კონსტიტუციური უფლებების განმარტებისა და გამოყენების ფარგლებს“.<sup>8</sup>

მეორე მხრივ, თუ შესაბამისი რეგულაციის ფორმულირება, წარმოშობის ისტორია, საერთო კონტექსტი, ისევე მისი მიზანი იძლევა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომელთა ნაწილი კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივ შედეგს იწვევს, ხოლო ნაწილი კონსტიტუციურ შედეგს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთი „ნორმის ვარიანტს“, რომელიც

3 A. Voßkuhle, Theorie und Praxis der verfassungskonformen Auslegung von Gesetzen durch Fachgerichte- kritische Bestandsaufnahme und Versuch einer Neubestimmung. AöR, Bd. 125 (2000), S. 180.

4 შეად, BVerfGE 7,1998 (205 ff.).

5 A. Voßkuhle, Theorie und Praxis der verfassungskonformen Auslegung von Gesetzen durch Fachgerichte- kritische Bestandsaufnahme und Versuch einer Neubestimmung. AöR, Bd. 125 (2000), S. 180.

6 BVerfGE 7,1998 (204 ff.).

7 C. Gröpl, Staatsrecht I : Staatsgrundlagen, Staatsorganisation, Verfassungsprozess, 11. Aufl. 2019, Rn. 216.

8 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, #1/466 საქმეზე “ საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 3.

შეესატყვისება კონსტიტუციას<sup>9</sup>. შესაბამისად, კონსტიტუციის მოქმედება განიხილება არა მხოლოდ განმსაზღვრელ, დამდგენ ნორმად, არამედ საკონტროლო ნორმადაც.<sup>10</sup>

ამდენად, ძირითადი უფლებების ობიექტური მნიშვნელობა განსაკუთრებულად ვლინდება კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების მეშვეობით. კანონმდებლის მიერ დადგენილი ნორმა, ხშირად იძლევა განსხვავებული განმარტების შესაძლებლობას, რომელთა შორის არჩევანი კონსტიტუციასთან თავსებადობის მიხედვით უნდა გაკეთდეს.<sup>11</sup>

კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება წარმოადგენს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მოქმედებას. იგი გულისხმობს ნორმის კლასიკური განმარტების შედეგად მიღებული ალტერნატივების შემოწმებას კონსტიტუციასთან მიმართებით<sup>12</sup>. ამგვარმა განმარტებამ გადაწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1953 წელის 7 მაისის გადაწყვეტილებაში<sup>13</sup>, რომელიც ეხებოდა ნორმათკონტროლის წარმოებას ძირითადი კანონის მე-100 პარაგრაფის შესაბამისად, გადაუდებელი დამხმარების კანონის პირველი პარაგრაფის კონსტიტუციურობის განხილვისას. აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ მიუთითა, რომ კანონი არაა კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივი, როდესაც ისეთი განმარტებაა შესაძლებელი, რომელიც ძირითად კანონთან თავსებადია და როდესაც განმარტების შედეგად კანონი აზრს არ კარგავს.<sup>14</sup>

როგორც ციპელიუსი აღნიშნავს, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებისას, მნიშვნელოვანია არა ის, კანონის რომელი ინტერპრეტაციაა კონსტიტუციის შესაბამისი, არამედ უშუალოდ მისი შესაბამისობა კონსტიტუციის ინტერპრეტაციასთან. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ კანონის საზომი კონსტიტუციური მასშტაბიც არაა ბოლომდე ზუსტად განსაზღვრული და თავადაც ინტერპრეტაციას საჭიროებს. ვინაიდან, შესაძლოა, არსებობდეს ინტერპრეტაციისა და დაკონკრეტების რამდენიმე ალტერნატივა, შედეგად, თავს იჩენს კითხვა, კონსტიტუციის რომელ ინტერპრეტაციას აქვს სამართლის ნორმის „დაკონკრეტების პრიმატი“?<sup>15</sup>

იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება არ განეკუთვნება დამოუკიდებელი განმარტების მეთოდს<sup>16</sup>. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტორი, რომ ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის ქვემდგომი ნორმები განიხილებიან ძირითადი კანონის მასშტაბში და წარმოადგენენ სისტემური განმარტების სახეს, რადგანაც, როგორც აღინიშნა, თუ ნორმის განმარტებისას სახეზეა ორი ან მეტი განმარტების

9 A. Voßkuhle, Theorie und Praxis der verfassungskonformen Auslegung von Gesetzen durch Fachgerichte- kritische Bestandsaufnahme und Versuch einer Neubestimmung. AöR, Bd. 125 (2000), SS. 180-181.

10 F. Müller, Juristische Methodik, 7. Aufl. 1997, S. 90.

11 G. Manssen, Staatsrecht II, Teil I. Grundlagen § 3. Funktionen der Grundrechte Rn. 63, beck-eBibliothek.

12 F. Bassier, Verfassungskonforme Auslegung, BRJ 02/2016, S. 109.

13 BVerfGE 2, 266 (282).

14 H. Spanner, Die Verfassungskonforme Auslegung in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, AöR, Vol 91, No 4 (1966), S.504

15 რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ლ. თოთლაძის თარგმანი, 2009, 50-51.

16 C. Gröpl, Staatsrecht I : Staatsgrundlagen, Staatsorganisation, Verfassungsprozess, 11. Aufl. 2019, Rn. 215.

შესაძლებლობა, რომელთაგანაც ერთს კონსტიტუციის შესაბამის შედეგამდე მივყავართ, ხოლო სხვას კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივ შედეგამდე, არჩეული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება.<sup>17</sup> თუმცა, განმარტება, რომელიც განმარტების მეთოდებს შორის გვაძლევს არჩევანის საშუალებას და მის კონსტიტუციური ადექვატურობის აღქმას გვთავაზობს, აზრს მოკლებული არ უნდა იყოს, თუ ცალკე მეთოდად მოვიხსენიებთ.

### III. კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების თეორიული საფუძვლები

საინტერესოა, აღნიშნული განმარტების წარმოშობის საფუძვლების მიმოხილვაც. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, თუ კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების საწყისებს განმარტების სხვადასხვა მეთოდებში მოვიძიებთ:

#### ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა

მართალია, ნორმის სიტყვითი მნიშვნელობა იურიდიულ დებატებში მნიშვნელოვან არგუმენტაციულ როლს ასრულებს, თუმცა მასზე მითითება ვერ მოხდება, როგორც კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების წარმომშობზე.

ნორმის ფორმულირება, იმავდროულად კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებაზე არ მიუთითებს, რადგანაც იგი არ არის აშკარა, და ზოგადად, აღიარებულია არასკონსტიტუციური განმარტების ვარიანტების რეგულარულად არსებობა, რომლებსაც მოიცავს ენა. ის საკითხი, რომ ფორმულირება კონსტიტუციასთან შესაბამისია, წარმოადგენს ნორმატიულ ფიქციას.<sup>18</sup>

#### მიზანი (Telos)

საკითხავია, შესაძლებელია თუ არა კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება მიჩნეულ იქნას ტელეოლოგიური განმარტების ნაწილად. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ნორმის სუბიექტური და ობიექტური მიზანი<sup>19</sup>. პირველი მათგანი ორიენტირებულია

17 C. Gröpl, Staatsrecht I : Staatsgrundlagen, Staatsorganisation, Verfassungsprozess, 11. Aufl. 2019, Rn. 215.

18 F. Bassier, Verfassungskonforme Auslegung, BRJ 02/2016, S. 110.

19 F. Bassier, Verfassungskonforme Auslegung, BRJ 02/2016, S. 110-111.

კანონმდებლის რეგულირების მიზანზე, ობიექტურ-ტელეოლოგიური განმარტება კი ნორმას ეძიებს სამართლის ობიექტური მიზნების შესაბამისად<sup>20</sup>.

ობიექტურ-ტელეოლოგიური განმარტებისათვის შემუშავებულია სხვადასხვა კრიტერიუმი, რომელთაგანაც ერთ-ერთად სახელდება „კონსტიტუციის კონფორმულად განმარტების პრინციპი“<sup>21</sup> იქიდან გამომდინარე, რომ განმარტება მიმართულია კონსტიტუციის ღირებულებებზე<sup>22</sup> და იგი ახორციელებს „კონსტიტუციურ კანონში მოქმედ ეთიკურ ან პრაგმატული წესრიგის ფუნქციებს“<sup>23</sup>. თუმცა, საწინააღმდეგო პოზიციის მიხედვით, ეს არ უნდა იყოს დამაჯერებელი, ვინაიდან მართალია, კანონმდებელს შეუძლია ნორმით გარკვეული მიზნები განახორციელოს. მაგრამ შეიძლება რომ კანონი მიზნად ისახავდეს ამ მიზნების უცვლელად დატოვებას? ამაზე პასუხი უარყოფითი უნდა იყოს: კანონის მიზნის შესწავლა სხვა არაფერია, თუ არა ინტერპრეტატორის დანიშნულება, ტელეოლოგიურ განმარტებას კი არ ჰერმენევტიკული ღირებულება არ აქვს<sup>24</sup>.

ამ პოზიციის გაბათილებაც, შესაძლოა, მოხდეს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (StPO) §70 მაგალითზე, რომელიც ეხება მოწმის მიერ ფიცის დადების ვალდებულებას. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში<sup>25</sup>, აღნიშნული ნორმის განმარტებისას, კითხვა მიემართებოდა, შეიძლებოდა თუ არა „სამართლებრივი საფუძველის“ გარეშეც ნებადართული ყოფილიყო ფიცის დადებაზე უარი, მაგალითად, მხოლოდ რელიგიური მოტივებით. სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციაზე ორიენტირებული განმარტების ფარგლებში, §70 StPO შეიძლება არა მხოლოდ StPO – ში ჩამოთვლილი საფუძველებით ყოფილიყო განხილული, არამედ კონსტიტუციით აღიარებული რწმენის თავისუფლებითაც (ძირითადი კანონის მე-4 მუხლი). ეს ძალიან ემსგავსება „კლასიკურ“ ობიექტურ-ტელეოლოგიურ განმარტებას და ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ აღარ რჩება სივრცე, რომ კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება დამოუკიდებელ მეთოდად განვიხილოთ.<sup>26</sup>

კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება პირდაპირ ტელეოლოგიური განმარტების ქვეშ არ უნდა მოვიაზროთ. უპირველესად, ეს უნდა გამორიცხოს სუბიექტურ-ტელეოლოგიური განმარტების მაგალითზე, რამდენადაც იგი კანონმდებლის მიზანზეა დამოკიდებული, რომელიც a priori კონსტიტუციასთან თავსებადობას არ მოასწავებს. რაც შეეხება ობიექტურ-ტელეოლოგიურ განმარტებას, იგი გარკვეულწილად წააგავს კონსტიტუციის შესაბამის განმარტებას, იმ კონტექსტში, რომ ობიექტური მიზანი, შესაძლოა, კონსტიტუციის მიზნებზეც გადიოდეს, თუმცა ანალოგიურად არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ ამ განმარტების

20 A.Götz, Die verfassungskonforme Auslegung – zugleich ein Beitrag zu ihrer Stellung im System der juristischen Methodenlehre, StudZR, 1/2010, SS. 37-38.

21 G. Hassold, Strukturen der Gesetzesauslegung in FS für Larenz, 1983, 211 (228).

22 იქვე.

23 A.Götz, Die verfassungskonforme Auslegung – zugleich ein Beitrag zu ihrer Stellung im System der juristischen Methodenlehre, StudZR, 1/2010, S. 38.

24 იქვე.

25 BVerfGE 33, 23.

26 C. Lorenzen, Zur Rechtsnatur und verfassungsrechtlichen Problematik der erfolgsqualifizierten Delikte, Bd. 43, 1981, S. 142.

შედეგად მივიღოთ არაკონსტიტუციური შედეგი, რამდენადაც იგი შემოსაზღვრულია ნორმატიული შეზღუდვებით.<sup>27</sup>

## სისტემური განმარტება

არსებობს მოსაზრება, რომ კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება უნდა განვიხილოთ სისტემური განმარტების ფარგლებში<sup>28</sup>. ეს ემყარება ერთიანი (სისტემური) სამართლებრივი წესრიგის კონცენფციას. კონსტიტუცია, როგორც ცალკეული ნორმების დამდგენი საბაზისო სისტემა ასევე მიეკუთვნება ამ ერთიანობას. ამდენად, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება ემსახურება ნორმის იმგვარად მისადაგებას, რომ იგი სისტემურად განიმარტოს. აღნიშნული კლასიფიკაცია უყურადღებოდ არ ტოვებს იმ საკითხსაც, რომ კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება ფუნქციონირებს არა მხოლოდ **საგნობრივი ნორმის** ფარგლებში, არამედ უფრო მეტად **საკონტროლო ნორმის** ქრილში, რათა ორდინალური სამართლის ნორმა კონსტიტუციასთან მიმართებით შემოწმდეს<sup>29</sup>. როგორც სამართლის წესრიგის იერარქიულ საფეხურის უმაღლესი მწვერვალი, სისტემური, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული სხვა ნორმების განმარტებისას. სწორედ სამართლებრივი წესრიგის ერთიანობის იდეიდან შესაძლოა მომდინარეობდეს კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება<sup>30</sup>. აღნიშნული პრინციპი ეფუძნება ვარაუდს, რომ სამართლებრივი წესრიგის მეშვეობით სამართლიანობის მიღწევა მხოლოდ ერთიანი ნორმატიული ღირებულებების საფუძველზე იქნება შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, სამართალმა უნდა ჩამოაყალიბოს თავსებადი ერთიანობა, ხოლო წინააღმდეგობები (კოლიზია) უნდა გადაწყდეს ამ ერთობის შიგნით<sup>31</sup>. სწორედ ამის საფუძველზე მოქმედებს პრინციპი **Lex superior derogat legi inferiori** (ზემდგომი კანონი იმორჩილებს ქვემდგომს), რომელიც ამავდროულად კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების აუცილებლობაზე მიუთითებს.<sup>32</sup>

თუმცა, საკითხავია, არის თუ არა იერარქიული სამართლებრივი წესრიგის ერთიანობა საკმარისი კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებისთვის. მართალია, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება მთლიანობაში მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიღებას მოქმედების ალტერნატიულ ვარიანტებს შორის, თუმცა მიუხედავად ამისა, სამართლებრივი წესრიგის ერთიანობის იდეა აუცილებელი ხდება მისი წარმოშობისთვის და, შესაბამისად, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება ამ ერთიანობისგან მოწყვეტით, რთულად წარმოსადგენი იქნება.<sup>33</sup>

27 F. Bassier, Verfassungskonforme Auslegung, BRJ 02/2016, S. 111.

28 H.P. Prüm, „Verfassungskonforme Auslegung“ –BVerfGE 35, 263 JuS 1975, S. 299 (303).

29 A.Götz, Die verfassungskonforme Auslegung – zugleich ein Beitrag zu ihrer Stellung im System der juristischen Methodenlehre, StudZR, 1/2010, S. 39.

30 K. Englisch/ T. Würtenberger, Einführung ind das juristische Denken, 1. Aufl. 2010, S. 103.

31 K.F. Röhl/ H.C. Röhl, Allgemeine Rechtslehre. 3. Aufl. 2008, S. 153 ff.

32 F. Bassier, Verfassungskonforme Auslegung, BRJ 02/2016, S. 112.

33 იქვე.

იურიდიულ ლიტერატურაში კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება ასევე განხილულია, როგორც **“sui generis”** პრინციპად<sup>34</sup>, რაც არაა აზრს მოკლებული. როგორც აღმოჩნდა, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებას ყველაზე დიდი კავშირი სისტემურ განმარტებასთან აქვს და გარკვეულწილად, თითქოს მათი გამიჯვნაც არ იქნა მიზანშეწონილი, თუმცა, ლოგიკური იქნებოდა იმის თქმაც, რომ იგი უფრო მეტად ცალკემდგომი პრინციპია, რომელიც ნებისმიერ განმარტების მეთოდში ეძიებს კონსტიტუციურ სულისკვეთებას, რათა საბოლოოდ მათი ჰარმონიზება უზრუნველყოს, ნორმა კონსტიტუციურ სარკეში ჩაახედოს და შემოგვთავაზოს ობიექტური აღქმა, შეესაბამება თუ არა იგი უმაღლეს კანონს.

## IV. კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების ფარგლები

საზგადასმელია, რომ გერმანულ და ქართულ მოდელში ნორმის გაუქმების მონოპოლია საკონსტიტუციო სასამართლოს ხელთაა, რომელიც არტიკულირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტსა და გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის 1-ლ აბზაცში. ამ ქრილში, მნიშვნელოვანია, მკვეთრად დადგინდეს ზღვარი კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებასთან, როგორც საერთო სასამართლოს კომპეტენციის ქრილში, ისე საკონსტიტუციო ნორმატოკონტროლის წარმოებისას, ვინაიდან ამ განმარტების როლი მნიშვნელოვანია როგორც საკონსტიტუციო, ისე საერთო და, განსაკუთრებით, უმაღლესი (უზენაესი) სასამართლოებისთვის.<sup>35</sup>

### 4.1 საერთო სასამართლოსთვის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების გამოყენების დასაშვებობა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლი გარკვეულწილად მიჯნავს საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს, რომელიც უფრო კონკრეტულად უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხზე გადის. დასახელებული ნორმის მე-3 პუნქტში გაცხადებულია საკონსტიტუციო წარდგინების მნიშვნელობა, როდესაც მოსამართლეს მიაჩნია, რომ საქმესთან დაკავშირებული ნორმა შესაძლოა კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივი იყოს, ხოლო მე-4 პუნქტი კონსტიტუციის უშუალო მოქმედებაზე მიუთითებს, თუმცა იმ დათქმით, რომ ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას და მისი შემოწმებაც არაა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია.

34 A.Götz, Die verfassungskonforme Auslegung – zugleich ein Beitrag zu ihrer Stellung im System der juristischen Methodenlehre, StudZR, 1/2010, S.40.

35 შუაღ. H. Spanner, Die Verfassungskonforme Auslegung in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, AöR, Vol 91, No 4 (1966), S. 503.



ნორმის მთლიან კონტექსტში, განსახილველი თემის მნიშვნელობით, უფრო რელევანტური უნდა იყოს საკონსტიტუციო წარდგინების ფარგლებში ნებისმიერ შემთხვევაში ეკისრება თუ არა მოსამართლეს ვალდებულება, რომ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ მას გააჩნია კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების შესაძლებლობაც?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებაში ვხდებით საკმაოდ საინტერესო პოზიციას<sup>36</sup>, რომელშიც საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სასამართლო პრაქტიკაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას გამოსაყენებელი **ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება**, საერთო სასამართლოები არ არიან უფლებამოსილი მოახდინონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსაბამო განმარტება. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 7.4 მუხლის თანახმად, თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება ნორმატიული აქტი, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციი ს შესაბამისად“<sup>37</sup> დასახელებულ გადაწყვეტილებაში შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი შეტყობინების ამოკითხვა:

- კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება დასაშვებია მოხდეს საერთო სასამართლოების მიერ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას გააჩნია მხოჭავი ძალა. მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ, წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებით დაადგინა, რომ ნორმა კონსტიტუციურია, თუმცა ერთ-ერთი და არა ყველა განმარტების შემთხვევაში. ეს გამოიწვევს საერთო სასამართლოების შეზღუდვას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებული ნორმის კონსტიტუციური შინაარსით და მათ აღარ შეეძლება, ნორმა განსხვავებულად განმარტონ, მაგალითად, ტელეოლოგიური განმარტების ნაცვლად, რომელიც კონსტიტუციურ შედეგს გვაძლევს, გამოიყენონ სიტყვასიტყვითი განმარტება, რომელსაც არაკონსტიტუციურ შედეგამდე მივყავართ.

თუმცა, გადაწყვეტილებაში რთულია ამოვიკითხოთ, რა კავშირი არსებობს მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს შორის და მოიცავს თუ არა იგი კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების სტანდარტულ შემთხვევას. საკასაციო სასამართლო 2015 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებაში<sup>38</sup> დასახელებულ პუნქტებს ნორმის ალტერნატიულ შემადგენლობად განიხილავს, კერძოდ, მიუთითებს რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19.2 მუხლის თანახმად ან შეეჩერებინა საქმის განხილვა და წარდგინებით მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, ან „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 7.4 მუხლის შესაბამისად თვითონ გამოეტანა გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად“.

36 იმავე მოსაზრებას ვხდებით უფრო ადრინდელ გადაწყვეტილებაშიც, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.07.2016 გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე # ბს-776-768(2კ-4კს-15).

37 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2019 გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე #ბს-857-853 (კ-17) .

38 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.04.2015 გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე #ბს-427-422(კ-14).

ეს მიდგომა არასწორი უნდა იყოს, რადგან მე-4 პუნქტის გამოყენება მაშინ, როდესაც ნორმის კონსტიტუციურობას ფიზიკურად ვერ შეამოწმებს საკონსტიტუციო სასამართლო, ამდენად, უწყებრივად ქვემდებარე საერთო სასამართლო ხდება. მე-3 პუნქტის შემთხვევაში კი, საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის გაუქმების მონოპოლიის გათვალისწინებით, საერთო სასამართლო ვერ განიხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას, თუ არაკონსტიტუციურობის ეჭვი არსებობს. შესაბამისად, ალტერნატივის არსებობაზე საუბარი წარმოუდგენლია, ვინაიდან ორივე მათგანი აბსოლუტურად არაიდენტურ სამართლებრივ მოცემულობას მიემართება. თუმცა ამავედროულად საყურადღებოა, რომ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ნორმატიული შინაარსი რეალობას მოკლებულია, რამდენადაც ქართული კანონმდებლობა საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა არ ტოვებს რომელიმე ნორმატიულ აქტს.

რაც შეეხება საერთო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების ზოგად დასაშვებობას, ამას არ უნდა გამორიცხავდეს საკონსტიტუციო წარდგინების არსებობა. თუმცა მისი გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა, რომ რომელიმე განმარტება მაინც გვაძლევდეს კონსტიტუციის შესაბამის შედეგს, სხვა შემთხვევაში, მოსამართლეს არ უნდა შეეძლოს კონსტიტუციური ნორმის პირდაპირ გამოყენება და განსახილველი კანონის ნორმის არაპირდაპირ არაკონსტიტუციურად მიჩნევა, ვინაიდან, ცხადია, არ არსებობს გარანტია, რომ ამაზე საკონსტიტუციო სასამართლოც იმავე განმარტებას შემოგვთავაზებდა და მას შეიძლება პირიქით ეთქვას, რომ ნორმა არაა კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივი. გერმანიაში არსებული ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკისა და გაბატონებული სწავლების მიხედვით, ორდინალური კანონის განმარტებისას სასამართლო ვალდებულია, გამოყენოს კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება. შესაბამისად, ძირითადი კანონის მე-100 მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინება დაუშვებელია, ვიდრე ჯერ კიდევ არსებობს კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების შესაძლებლობა<sup>39</sup>.

საერთო სასამართლოს მიერ ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება გარკვეულწილად დაძაბულობას ქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის გაუქმების მონოპოლიასთან. თუ საეჭვო შემთხვევაში სასამართლო მაინც ამ განმარტებას იყენებს, ნაცვლად საკონსტიტუციო წარდგინებისა, იზრდება არკომპეტენტური ჩარევის საფრთხე. ნორმის გაუქმება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს არა მხოლოდ სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ერთიანობის მიზნით, არამედ მისი განსაკუთრებული უფლებრივი ექსპერტიზის, ცოდნის გამო.<sup>40</sup>

ამდენად, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებისას საერთო სასამართლოს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, ვინაიდან კანონშემფარდებელი მოსამართლე კანონშემოქმედად არ გადაიქცეს, რაც ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპსაც დაარღვევს.

39 C. Burkiczak, §35 Fachgerichtliche Gesetzeskontrolle, in: W. Kluth/ G. Krings, Gesetzgebung: Rechtsetzung durch Parlamente und Verwaltungen sowie ihre gerichtliche Kontrolle, 2014, S. 881.

40 J. Reschke, Die verfassungs- und dreistufenteskonforme Auslegung der Schranken des Urheberrechts – zugleich eine Überprüfung § 52 b UrhG, 2010, S. 30.

## 4.2 საკონსტიტუციო ნორმატონტროლის ფარგლები – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

მართალია, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება არსობრივად საერთო სასამართლოებისთვის განკუთვნილ ამოცანას წარმოადგენს,<sup>41</sup> თუმცა მისი როლი ასევე მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას, რამდენადაც ნორმის ამგვარი განმარტება რელევანტურია არა მხოლოდ საკონსტიტუციო წარდგინების ფარგლებში, როდესაც არსებობს არაკონსტიტუციურობის ეჭვი, ისე ზოგადად, ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის შემთხვევაში<sup>42</sup>, რა დროსაც შესაძლოა თავი იჩინოს რიგმა პრობლემებმა, უპირატესად, ნორმის შენარჩუნების „ოპერაციისა“ და განსაზღვრულობის პრინციპის ურთულეს ბილიკებზე გავლისას.

### 4.2.1. კონსტიტუცია, როგორც ერთიანი სისტემა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის განმარტებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კონსტიტუციის სისტემაზე და ცდილობს, ისინი ერთიანი მასშტაბით გაზომოს. განმარტების მიზანი „ცოცხალი კონსტიტუციის“ იდეისკენ სწრაფვაა, რომლის მიღწევა თითოეული უფლების შინაარსის, ფარგლებისა თუ დიაპაზონის სრულყოფილად გაანალიზების შედეგად ხდება შესაძლებელი, ამასთან, ისინი არ განიხილებიან მოწყვეტით და განმარტება ეფუძნება, ზოგადად, კონსტიტუციის ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს.<sup>43</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის სისტემური განმარტების საინტერესო მაგალითს ვხვდებით საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც აღნიშნულია<sup>44</sup>: „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები განაპირობებენ მთლიანად კონსტიტუციის შინაარსს, იმავდროულად, განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების ძირითად მიმართულებებს. კონკრეტული დავების გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია როგორც კონსტიტუციის შესაბამისი დებულება, ისე სადავო ნორმა გაანალიზოს და შეაფასოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების კონტექსტში, რათა ეს ნორმები, განმარტების შედეგად, არ დაცილდნენ მთლიანად კონსტიტუციაში გათვალისწინებულ ღირებულებათა წესრიგს. მხოლოდ ასე მიიღწევა კონსტიტუციის

41 L. Michael, Normenkontrollen – Teil 3:Fragen der Zulässigkeit: Konkrete Normenkontrolle, ZJS 4/2014,S. 359.

42 შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 28.02.2018 გადაწყვეტილება/გაჩინება, საქმე # 2კ-5-1-18: „საკასაციო პალატა არ დგას ასევე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროების წინაშე, ვინაიდან არ მიიჩნევს, რომ მის მიერ გამოსაყენებელი კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. ამასთან, განუმარტავს კასატორს, რომ თავად მსჯავრდებული არ არის შეზღუდული, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ ნორმათა კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ, რომლებიც, მისი მოსაზრებით, არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ მის უფლებებს“.

43 ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, 2013, 9.

44 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ II, 1-2.

ნორმის სრული განმარტება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკრეტული სადავო ნორმის კონსტიტუციურობის სწორ შეფასებას. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციურ პრინციპებს შორის. ისინი პრაქტიკულად ყველა კონსტიტუციური ნორმის, მათ შორის დანარჩენი კონსტიტუციური პრინციპების საფუძველს წარმოადგენენ. ამ პრინციპებს ეყრდნობა მთლიანად კონსტიტუციური წყობა. ამასთან, ისინი ავალდებულებენ ხელისუფლებას, შეიზღუდოს კონსტიტუციური წყობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არა აქვს უფლება, იმოქმედოს მხოლოდ მიზანშეწონილობის, პოლიტიკური აუცილებლობის ან სხვა მოტივაციის საფუძველზე. ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონს და მთლიანად სამართალს. მხოლოდ ასე იქმნება სამართლიანი მართლწესრიგი, რომლის გარეშეც ვერ შედგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო“.

საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპებზე და მათ უშუალო კავშირზე ძირითადი უფლების შინაარსის განსაზღვრისას.<sup>45</sup> სწორედ სამართ-ლებრივი სახელმწიფოს უშუალო გავლენად უნდა განვიხილოთ ძირითადი უფლების ზღვრის-ზღვრად თანაზომიერების პრინციპის შემოტანა.<sup>46</sup> თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს მატერიალურ ელემენტს.<sup>47</sup> იგი ხშირად არაპროპორციული ჩარევის აკრძალვადაც იწოდება. საჯარო სამართლის სფეროში თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს კონსტიტუციურ მოთხოვნას, რომელიც ძირითადი უფლებების არსიდან და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს.<sup>48</sup>

ამდენად, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება, როგორც გარკვეულწილად სისტემური განმარტების ნაწილი, შეიძლება მოვიხზოთ იმის წინაპირობადაც, რომ კონსტიტუცია ერთიანად იქნას აღქმული და ნორმის განმარტება, როგორც საერთო ისე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ ფარგლებში მოხდეს. ამავდროულად აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ სისტემური განმარტების დროს დაცული უნდა იქნას ნორმატიული აქტების იერარქია, კერძოდ, დაუშვებელია, კონსტიტუციური ნორმა ქვემდგომი ნორმის საფუძველზე განიმარტოს.

45 ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, 2013, 10-11.

46 შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” II, 19: „თანაზომიერების პრინციპი... უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია. ზუსტად ამიტომ მას კონსტიტუციური კონტროლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთიმართება სამართლიანი იქნება. რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის“.

47 W.Ergbuth/ A. Guckelberger, Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht und Staatshaftungsrecht, 9. Aufl. 2018, S. 248. იხ. ასევე C. Gröpl, Staatsrecht I: Staatsgrundlagen, Staatsorganisation, Verfassungsprozess, 11. Aufl. 2019, Rn. 467 .

48 C. Gröpl, Staatsrecht I: Staatsgrundlagen, Staatsorganisation, Verfassungsprozess, 11. Aufl. 2019, Rn. 507; BVerfGE61, 126 [134].

#### 4.2.2 ნორმის შენარჩუნება vs. ნორმის განსაზღვრულობა

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანი და დანიშნულებაა კონსტიტუციურ უფლებათა ისეთი განმარტება, რომელიც კონსტიტუციის მიზნების, კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულებების და თავად ძირითადი უფლების არსის შესაბამისია, რაც უზრუნველყოფს უფლებით პრაქტიკულად, რეალურად და ეფექტურად სარგებლობას და არ გამოფიტავს მას თეორიულ და ილუზორულ უფლებამდე.“<sup>49</sup> მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ იმგავარად უნდა განმარტოს ნორმა, რომ მას მთლიანობა არ გამოეცალოს და ამავედროულად კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის მნიშვნელობაც არ დაამცროს.

როგორც უკვე განვიხილეთ, კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება კონსტიტუციური ნორმის საფუძველზე ცდილობს, განმარტების მეთოდებს შორის კოლიზიის გადაჭრას, რაც საბოლოო ჯამში ნორმის გადარჩენას ემსახურება და მხოლოდ **ultima ratio**-დ ისახავს მის გაუქმებას. თუმცა საკითხავია, სად გადის ნორმის შენარჩუნების ზღვარი და მიმდინარეობს თუ არა იგი გვერდითი მოვლენების გარეშე.

ნორმის შენარჩუნების იდეა ემყარება – **favor legis**- რომელიც უპირატესად დასაბუთებულია კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების არსებობით. ამ შემთხვევაში ძირითადი მიმართულება ემყარება ნორმის შენარჩუნებას, ნაცვლად მისი კონსტიტუციასთან ცალკეული კოლიზიის გამო გაუქმებისა.<sup>50</sup>

საკითხავია, ნორმის მრავალმხრივი განმარტება, რომელთაგან ნაწილი კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივია, ხომ არ იძლევა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლებლობას, მაგალითად, იმაზე მითითებით, რომ ეს ნორმის განსაზღვრულობის პრინციპს ეწინააღმდეგება? აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა განსხვავებულია, ამიტომ საინტერესო იქნება თუ მას უფრო დეტალურად განვიხილავთ:

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო იმ საფუძველით, რომ „იურიდიული მეთოდოლოგიით გონივრული განმარტების შედეგად, მისი წაკითხვის ერთი ვერსია ეწინააღმდეგება კონსტიტუციას“; რაც თავის მხრივ არღვევდა ნორმის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს.<sup>51</sup> როგორც ვხედავთ, სასამართლო ნორმის ბუნდოვანებას იმთავითვე რამდენიმე განმარტების შესაძლებლობს უკავშირებს, რომელთაგანაც საკმარისია ერთი მაინც ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, ეს უკვე მთლიანი ნორმის არაკონსტიტუციურობის გარანტი ხდება, ესე იგი, რომელიმე კეთილსინდისისიერი ინტერპრეტაციის არაკონსტიტუციურობა, ნორმის არაკონსტიტუციურობის ინდიკატორი ხდება. აღნიშნული

49 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/477 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 11.

50 F. Bassier, Verfassungskonforme Auslegung, BRJ 02/2016, S. 112.

51 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 30.

გაადაწყვეტილება განსაზღვრულობის პრინციპის განმარტების მხრივ მართლაც რომ პრეცედენტულია, თუმცა გარვეულწილად ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების შემცველიც. მაგალითად, სასამართლო აღნიშნავს: „ნორმის არაერთგვაროვნად წაკითხვის ალბათობა ყოველთვის ვერ გამოდგება მისი არაკონსტიტუციურობის მტკიცებისთვის. ნორმის თუნდაც რამდენიმე ვერსიით წაკითხვის შესაძლებლობა, მეტიც, მის საფუძველზე კონსტიტუციის საწინააღმდეგო პრაქტიკის არსებობა, ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებს ნორმის არაკონსტიტუციურობაზე, ისევე, როგორც ბუნდოვანი ნორმის საფუძველზე სწორი პრაქტიკის არსებობა ყოველთვის ვერ გამოდგება ნორმის კონსტიტუციურობის მტკიცების ამომწურავ არგუმენტად.“<sup>52</sup> ესე იგი, დასაწყისში მითითებულია, რომ ნორმის არაერთგვაროვანი განმარტებების არსებობა იმთავითვე განუსაზღვრელობას არ მოასწავებს, თუმცა ზუსტად ამ საფუძველზე ცნობს შემდეგ ნორმას არაკონსტიტუციურად.

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასებით, რაც პრინციპულად განსხვავდება კანონიერების პრობლემის გადაწყვეტისგან. თუ საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის პრობლემას გადაწყვეტს ზემდგომი, კონსტიტუციის შესაბამისი აქტის გამოყენებით და ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის მტკიცებას საფუძველად დაუდებს ზემდგომი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის არსებობას, ის პრაქტიკულად არ შეასრულებს თავის ფუნქციას და პირდაპირ დანიშნულებას.“<sup>53</sup> ეს მიდგომა, რა თქმა უნდა, ცალსახად არ გამორიცხავს კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებას, ვინაიდან ეს განმარტება არ გულისხმობს, რომ განმარტების შედეგად კანონმა დაკარგოს აზრი, არამედ ერთი განმარტება მაინც არსებობდეს, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისი იქნება და სწორედ ამ კონსტიტუციური განმარტების გამოყენება ხდება ნორმატიული აქტების იერარქიის საფუძველზე, ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ იგი ფუნქციას უკარგავდეს საკონსტიტუციო სასამართლოს.

საინტერესოა, საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებულება საერთო სასამართლოების პრაქტიკასთან მიმართებით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული იყო მიდგომა, რომლის შესაბამისადაც, სადავო ნორმის პრაქტიკული გამოყენების საკითხის შეფასება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას სცდებოდა. როგორც 2006 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, „ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სადავო ნორმაში მოცემული სამართლებრივი (ნორმატიული) სინამდვილე და მისი გამოყენების შედეგად დამდგარი ფაქტობრივი სინამდვილე. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კონსტიტუციასთან მიმართებით შეაფასოს მხოლოდ სადავო ნორმაში გათვალისწინებული დანაწესის კონსტიტუციურობა... მაგრამ თუკი ნორმის რეალურ-პრაქტიკული განხორციელება არ შეესაბამება მის შინაარსს, მაშინ მოსარჩელეთა უფლებების შელახვის წყარო აქ (ნორმის

52 იქვე II, 16.

53 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლისამო 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

შინაარსში) კი არ არის საძებნელი, არამედ მის პრაქტიკულ განხორციელებაში. საკონსტიტუციო სასამართლო კი ვერ იმსჯელებს სადავო ნორმის გამოყენების კონსტიტუციურობაზე.<sup>54</sup>

2007 წლის მიდგომა იცვლება უკვე 2011 წლის გადაწყვეტილებაში, რომელიც მიემართებოდა სავალდებულო სამხედრო სარეზერვო სამსახურის კონსტიტუციურობას. სადავო ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით დგინდებოდა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ვალდებულება.<sup>55</sup> სასამართლო აღნიშნულ კანონს მიიჩნევს ნეიტრალურ კანონად, ვინაიდან იგი ზოგადი ვალდებულების დამდგენია. ასეთი შინაარსის კანონი კი თავისთავად ვერ გაითვალისწინებს ყველა მოქალაქის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ზოგადი ვალდებულების დადგენაზე თავის შეკავება არ უნდა მოხდეს იმ მოტივით, რომ ეს ვალდებულება თავისთავად კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივია.<sup>56</sup> ამ შემთხვევაში მან მიუთითა, რომ გადაწყვეტილება გავლენას ვერ მოახდენდა და კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დააყენებდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ინსტიტუტის მართლზომიერებასა და კონსტიტუციურობას<sup>57</sup> და არაკონსტიტუცურად ცნო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენს იმ პირობა მიმართ, ვინც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე.<sup>58</sup> ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმა არაკონსტიტუცურად ცნო კონკრეტული ნორმატიული შინაარსის ფარგლებში და არა მთლიანად არაკონსტიტუცურად.

საკონსტიტუციო სასამართლოს თანამედროვე პრაქტიკა ნორმის განმარტებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საერთო სასამართლოების მიერ ნორმის გამოყენების პრაქტიკაზე, რაც წინარე პერიოდში უგულვებელყოფილი იყო.<sup>59</sup>

„სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეში ვკითხულობთ: „სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას საკონსტიტუციო სასამართლო, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში იღებს მისი გამოყენების პრაქტიკას. საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და, შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას.

54 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის №1/1/357 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თამაზ კილანავა, ნუგზარ კანდელაკი, მანანა ნასარიძე, მადონა ლიბრაძე და ლალი არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ აღნიშნული მიდგომა ასახულია სხვა გადაწყვეტილებებშიც: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის №2/1/481 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 10; განჩინება №2/16/404, II-3; განჩინება №2/8/448, II-12; გადაწყვეტილება №1/1/428, 447, 459, II-20; განჩინება №1/2/440, II-3)

55 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 74.

56 იქვე II, 81.

57 იქვე.

58 იქვე III, 1.

59 შეად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის №1/1/357 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თამაზ კილანავა, ნუგზარ კანდელაკი, მანანა ნასარიძე, მადონა ლიბრაძე და ლალი არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა.<sup>60</sup> თუმცა საერთო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით ხელმძღვანელობა არ ხდება აბსოლუტური წესით და ვხდებით ისეთ გამონაკლისებსაც, როგორებიცაა: ერთი და იმავე სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებების წინააღმდეგობრიობა ან საერთო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტების არაგონივრულობა.<sup>61</sup>

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც უზენაესი სასამართლოს მხრიდან არსებობდა ერთგვაროვანი მიდგომა სადავო ნორმასთან, სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით, თუმცა მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ პრაქტიკის ერთგვაროვნება არ იყო გარანტი, სამომავლოდ არ შეცვლილიყო სადავო ნორმის შინაარსის განმარტება. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ნორმის არაკონსტიტუციურობასთან მიმართებით და მიუთითა, რომ „კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ საერთო სასამართლოები. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სადავო ნორმის ერთგვაროვნად განმარტება და გამოყენება ცალსახად მიანიშნებს, რომ სადავო ნორმას სწორედ ზემოთ ხსენებული შინაარსი გააჩნია. ამ პირობებში საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის არგუმენტს, რომლის თანახმადაც, სადავო ნორმას ასევე გააჩნია მის მიერ შემოთავაზებული ნორმატიული შინაარსიც, რომელიც უზენაესი სასამართლოს განმარტების საწინააღმდეგოა. ზოგადად, ნორმა შეიძლება შეიცვალოს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგადაც, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ჯერ მიუღებელი კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის არგუმენტად არ გამოდგება. საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას აფასებს იმ შინაარსით, რომელიც მას გააჩნია საქმის გადაწყვეტის დროს.“<sup>62</sup>

ერთი შეხედვით, ანალოგიური მიდგომაა გაზიარებული საკონსტიტუციო სასამართლოს რეზონანსულ საქმეში „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც დავის საგანს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლების კონსტიტუციურობა.

მოსარჩელე მხარე მიუთითებდა ნორმის ბუნდოვანებაზე, თუმცა განსაზღვრულობის ისეთ სტანდარტზე დაყრდნობით, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში ჯერ არ იყო გამოყენებული. დასახელებულ შემთხვევაში სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა პასუხისმგებლობის დამდგენი<sup>63</sup> და ზოგადი ნორმები. სწორედ ამ უკანასკნელის გამოვლინებად იქნა აღქმული

60 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II-16.

61 იქვე.

62 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება N2/2/656 საქმეზე „სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II-7.

63 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში განსხვავებულია განჭვრატადობის მოთხოვნები სხვადასხვა ნორმებთან მიმართებით. მაგალითად, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმასთან დაკავშირებით, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მასიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ აღნიშნულია, რომ „ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის



სამოქალაქო კოდექსის სადავო ნორმები და აღინიშნა, „ამა თუ იმ საფუძვლით ხელშეკრულების ბათილად მიჩნევა არ გულისხმობს ქმედების სამართალდარღვევად განსაზღვრას ან რაიმე ფორმით პასუხისმგებლობის დაკისრებას. უფრო მეტიც, ხელშეკრულების ბათილობა არ ზღუდავს პირის თავისუფალი მოქმედების ფარგლებს. ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლების განსაზღვრითსახელმწიფონეგატიურადარერევაორიპირისკერძოავტონომიაში, მათ მიერ სამოქალაქო ურთიერთობების ნების შესაბამისად წარმართვაში, არამედ იგი უარს ამბობს მისი პოზიტიური ვალდებულებების (ხელშეკრულების ცნობისა და აღსრულების) შესრულებაზე.“<sup>64</sup> საბოლოოდ სასამართლომ დაასკვნა, რომ „სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების ზოგადი ნორმებით მოწესრიგება თავისთავად, ვერ მიუთითებს განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევაზე. უფრო მეტიც, ზოგადი ნორმები წარმოადგენს ერთადერთ ინსტრუმენტს, რომლითაც შესაძლებელია, კანონმდებელმა შეძლებისდაგვარად სრულყოფილად მოაწესრიგოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები და მინიმუმამდე დაიყვანოს კანონის ანალოგიის გამოყენების შემთხვევები. ის გარემოება, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მოხდება ნორმის შინაარსის დადგენა, ვერ გამოდგება ამ ნორმის განუსაზღვრელად და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურად მიჩნევის თვითკმარ საფუძვლად.“<sup>65</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო წინა გადაწყვეტილებების მსგავსად მიუთითებს, რომ ძირითადად, სადავო ნორმას აფასებს იმ შინაარსით, რომელიც მას საერთო სასამართლოებმა მიანიჭეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრაქტიკა არაერთგვაროვანია ან აშკარად არაგონივრული განმარტებაა სახეზე. <sup>66</sup> მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებას, იმ არგუმენტაციით, რომ „არასწორი იქნება, საქართველოს რომელიმე სასამართლომ, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციოსასამართლომ, არაგონივრულად მიიჩნიოს ხსენებული ორგანოს განმარტება.“<sup>67</sup> აღნიშნული მოსაზრება გაკრიტიკებულია 4 მოსამართლის განსხვავებულ აზრში, რომელიც დიდი პალატის გადაწყვეტილებას a priori შეფასების მასშტაბად არ მიიჩნევს, რადგან ეფექტური საკონსტიტუციო კონტროლის მიზნებისთვის მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ სადავო ნორმის ახლებური განმარტება ვერ იქნება საკმარისი<sup>68</sup>, განსაკუთრებით იმ პირობებში,

ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მან ეს უფლებამოსილება ისე უნდა გამოიყენოს, რომ საშუალება არ მიეცეს სამართალშემფარდებელს, სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა“ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516, 542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 37.

64 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 40.

65 იქვე II, 51. შეად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის, მაია კოპალეიშვილის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი, II, 13, რომელშიც მითითებულია, რომ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას რელევანტურია უფლებაში ჩარევა (ინტენსივობა) და არა ნორმის რომელიმე დარღვისადმი კუთვნილება.

66 იქვე II, 78.

67 იქვე.

68 იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის, მაია კოპალეიშვილის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 80.

როდესაც სადავო ნორმასთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია.<sup>69</sup> ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, მიუხედავად განსხვავებული პრაქტიკის არსებობისა, აქცენტს დიდი პალატის განმარტებაზე აკეთებს, რაც შეიძლება წინააღმდეგობრივად უღერდეს მისსავე მოსაზრებასთან. თუმცა მეორე მხრივ, ეს აუცილებლად განსაზღვრულობის დარღვევაზე არ უნდა მოასწავებდეს, რაც ახსნილია სამოქალაქო სამართალში ზოგადი ნორმების არსებობის დანიშნულებითა და საერთო სასამართლოს მიერ მისი შინაარსის დადგენით.<sup>70</sup>

მართალია, სასამართლო ბოლოს უთითებს, რომ განსაზღვრულობასთან მიმართებით ხელმძღვანელობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილებით (საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დადგენილი სტანდარტით, თუმცა ეს იმგვარად არ უნდა იქნას აღქმული, რომ სასამართლო უარყოფს 2007 წლის შემდგომ განვითარებულ მიდგომებს და „ძველს“ უბრუნდება, არამედ ამ შემთხვევაში აღებულია მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრულობის პრინციპის სახელმძღვანელო დებულებები, ვინაიდან სადავო საქმეზე არ არსებობდა ახალი, სპეციალური კონსტიტუციური სტანდარტის დანერგვის აუცილებლობა.<sup>71</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ სასამართლოს მიმდინარე პრაქტიკა ძირითადად, ორიენტირებულია საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ჰარმონიზებაზე, რაც ძალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვინაიდან თავიდან იქნას აცილებული ნორმის ორი პარალელური განმარტება. მასში მნიშვნელოვნადაა გამოხატული კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების კონტურები.

საკითხი თავისთავად არასწორად იქნება დასმული, თუ უშუალოდ შევუპირისპირებთ ერთმანეთს კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებასა და ნორმის განსაზღვრულობის პრინციპს, ვინაიდან ეს უკანასკნელი სწორედ იმ კონსტიტუციური წესრიგის ნაწილია, რომლიდანაც ეს ორი „შეპირისპირებული“ ინტერესი გამომდინარეობს<sup>72</sup>. დაუშვებელია განსაზღვრულობის პრინციპის ვიწროდ და უშინაარსოდ განმარტება: ნორმის განსაზღვრულობა ირღვევა მაშინ, როდესაც ირღვევა სამართლებრივი უსაფრთხოება, ამდენად, თუ საფრთხე კონკრეტული არაა, მხოლოდ მის აბსტრაქტულობაზე მითითება, რომელსაც დიდი ალბათობით

69 იქვე 81-93.

70 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 51.

71 იქვე, II, 52.

72 განსაზღვრულობის პრინციპი განეკუთვნება სამართლებრივი სახელმწიფოს არსებით ნაწილს და, შესაბამისად, მინიჭებული აქვს კონსტიტუციური რანგი. C. Gröpl, Staatsrecht I: Staatsgrundlagen, Staatsorganisation, Verfassungsprozess, 11. Aufl 2019, Rn. 469-473. სწორედ სისტემური განმარტების შედეგია განსაზღვრულობის პრინციპის ნორმის კონსტიტუციურობის ნაწილში განხილვა და მისი ძირითადი უფლების ზღვრის-ზღვრად მიჩნევა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განუყოფელი ნაწილია. თავის მხრივ, სამართლებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი. კანონი უნდა პასუხობდეს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და, შესაბამისად, განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებს“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 29.

განხორციელებაც არ უწერია, ვერ იქნება რელევანტური. ამ საფრთხეს სწორედ საერთო სასამართლოების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ბოჭვა აბალანსებს<sup>73</sup> და, ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოთა განმარტებების გათვალისწინება იმ დათქმით, რომ ესეც არ გახდეს აბსოლუტური და გამონაკლის შემთხვევებში, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლოს მნიშვნელოვნად ჩარევა.

ხაზგასასმელია, რომ კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება, საერთო და არა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა. საერთო სასამართლოს მოსამართლეს, როგორც კანონის შემფარდებელს, განმარტების მეთოდებს შორის გზამკვლევად სწორედ კონსტიტუცია ევლინება და შესაძლო კოლიზიის შემთხვევაში ავალდებულებს, ამოირჩიოს განმარტების ისეთი მეთოდი, რომელიც კონსტიტუციასთან იქნება თავსებადი. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, მისი როლი გადამწყვეტია მხოლოდ განსაზღვრულობასთან მიმართებით და ნორმას განუსაზღვრელად და შესაბამისად არაკონსტიტუციურად აცხადებს მაშინ, როდესაც „განმარტების ყველა მეთოდი მოსინჯულია, მაგრამ მაინც გაურკვეველია მისი ნამდვილი შინაარსი, ანდა არსი გასაგებია, მაგრამ გაუგებარია მისი მოქმედების ფარგლები.“<sup>74</sup>

## V. დასკვნა

კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების არსებობა აუცილებელია სამართლებრივი წესრიგის ერთიანი და ჰარმონიული აღქმისთვის. მისი თეორიული საფუძვლები მოწმობს, რომ ერთი შეხედვით, სისტემური განმარტების ქვეშ მოქცეული განმარტება საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის მნიშვნელოვან კავშირს ამყარებს და მთლიანობაში ცდილობს, რომ არ დაკარგოს ლოგიკური ბმა კანონისა და კონსტიტუციის ნორმებს შორის.

73 შეად. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება/ განჩინება 17.01.2018 საქმე №445აპ-17, რომელშიც გაზიარებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების შეფასების მასშტაბად მიჩნევაზე: „სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებითი სასჯელის – ქონების ჩამორთმევის კონსტიტუციურობა, თუმცა განმარტა, რომ დამატებითი სასჯელის სახით დანაშაულის საგნის, იარაღისა და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა მაშინ არის გამართლებული, როდესაც ის მხოლოდ იმ მიზნისთვის გამოიყენება, რომლის მისაღწევადაც არის შერჩეული როგორც ყველაზე ეფექტური საშუალება. ამისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად, ყოველ კონკრეტულ საქმეზე სწორად უნდა შეფასდეს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში საეჭვო გახდება როგორც საჯარო მიზნის მიღწევა, ისე საკუთრების უფლებაში ჩარევის მართლზომიერება.“

74 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №1/1/428,447,459 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 19.

ნორმის შენარჩუნების იდეა ხდება არა თვითმიზანი, არამედ იმ მიზნის მიღწევის საშუალება, რომ სამართლებრივი უსაფრთხოება და მისი შემადგენელი ნაწილი, განსაზღვრულობის პრინციპი, ადექვატურად იქნას გაანალიზებული და ერთიან სამართლებრივ სივრცეში არ ქმნიდეს არაპროპორციულ ბარიერს, რომელიც პრაქტიკისთვის მოუქნელი იქნება. ამდენად, გასაზიარებელი და მისასალმებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანამედროვე სულისკვეთება, რომელიც იზიარებს კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების იდეებს და ალბათ, სამომავლოდ მეტად უფრო სრულყოფილიც გახდება.